სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 20 0001077567

09/11/2020

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ საქართვლოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნინო ხოლუაშვილი;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს დაევალოს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ მე-3 თავით განსაზღვრული წესის შესაბამისად დადგენილ ვადებში საჯარო ინფორმაციის გაცემა და შესაბამისი რეესტრის წარმოების უზრუნველყოფა;
3. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესი შესაბამისად, დაევალოს კანცელარიას;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე